

მშენებელი

1888-1889

გ ა ზ ე თ ი ს ო ზ ა ს ი:

«მწყემსი»

«მწყემსი» რუსული გამოცემით

12 თვეთ 5 მან.

12 თვეთ 6 მან.

6 — 3 —

6 — 4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ Копенгагенъ, Въ контору редакцїи „Мѣсяца“ (Пастырѣ).*

ყველა სტატიები და კორექსონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილი დასაბეჭდავად, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე და წერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

ბედი სამკალესიო-სამრევლო სკოლებისა წინათ და დღეს.

მისაც თვალ-ყური უდევნებია სახალხო და საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის, ის, რასაკერ-ველია, ცხადათ შენიშნავს ამ სკოლების ორ შესანიშნავ ხანას (периодъ). პირველამ იცის, რომ სამრევლო სკოლები სახალხო სკოლებზედ უფრო წინეთ არსებობდნენ და ამ სკოლებს დიდი შესაწინევი სარგებლობაც მოუტანია ხალხისათვის. ამ სკოლებში სწავლას ჰქონდა ეკლესიური ხასიათი და ხალხიც ძლიერ მადლიერი იყო ამ სკოლებისა, მაგრამ ბოლოს საზოგადოებაში გამოჩნდნენ წინააღმდეგნი პირნი საეკლესიო სკოლებისა და მათი მიმართულებისა. საქმე იქნა მისი მივიდა, რომ საეკლესიო სკოლები სახალხო სკოლებად გადააკეთეს და სამღვდლოებას სრულებით ჩამოართვეს უფლება საეკლესიო სკოლების გახსნისა და მმართველისა. მთელს სახელმწიფოში გამრავლდა სახალხო სკოლები. ნაცვლად დაეთნის, ჟანის და «საღმრთო საკაცებო» საგნებისა შემოიღეს სწავლა ზღაპრებისა, დაიწყეს ბაყაყების, ხელიკების და

კატების გარეგან და შინაგან აგებულებათა სწავლება, ზოგიერთი მასწავლებელი ნამეტან დროს ანდომებდა ზემოდ აღნიშნული ცხოველების აგებულების შესწავლას, საღმრთო სჯულის და ეკლესიური გალობის სწავლება სოფლის საფეროდ სასწავლებლის უწყებებში თუ იწერებოდა, თორემ ნამდვილ არსად არ ასწავლიდნენ. დიდმა დრომ გაიარა. ხალხს არ მოსწონდა და არც დღეს მოსწონს სახალხო სასწავლებლების მიმართულება, მაგრამ, ძალით თუ ნებით, მათ ამ სკოლების შესანახად კარგა ბლომად ფულებს მაინც ახდევინებდნენ და დღესაც ახდევინებენ.

ბამოიცა უმაღლესი ბრძანება ხელმწიფე იმპერატორისა საეკლესიო სკოლების დაარსებაზედ. ამ ბრძანებამ აღტაცებაში მოიყვანა ხალხი. დიდ დროს არ გაუფლია, მაგრამ საკმაოდ გამრავლდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები მთელს იმპერიაში. თუმცა სახალხო სკოლებთან შედარებით საეკლესიო-სამრევლო სკოლები მოკლებულნი არიან ყოველივე საშუალებას, მაგრამ მათ შესაძინევი ნაყოფი მოიტანეს ამჟამად ხანშია.

სამწუხაროდ ასეთს განკარგულებას კეთილის გულით და სიხარულით არ მიეცებენ მხოლოდ ისინი,

რომელთაც საეკლესიო არაფრით მოსწონთ! მს ბატონები მარც კიდევ იმას გაიჰხიან, რომ ცხოველთა და ქვემძრომთა აგებულების შესწავლა უფრო საჭიროა მოზარდ თაობისათვის, ვინემ «საღმრთო-საკაცებო» საგნების შესწავლაო!..

მინ მოსთვლის იმ ზრიტებს და წინააღმდეგობას, რომელსაც ზოგიერთები საეკლესიო-სამრევლო სკოლების წინააღმდეგ სჩადიან. ჩვენდა სამწუხაროდ, ამისთანა მოწინააღმდეგე პირებში პირველი ადგილი უკავიათ სახალხო სკოლების დირექტორებს და ინსპექტორებს. აი ფაქტები: ხელმწიფე იმპერატორმა კეთილინება სურვება, რომ ყველა ეკლესიებისთან დაარსდეს სამრევლო სკოლები. სახალხო განათლების მინისტრი, თემობა, და სამოსწავლელო ოლქების მხარუწველნი თითქმის თანახმა არიან, სახალხო სკოლები სამრევლო სკოლებად გადააკეთონ. ზოგიერთი სახალხო სკოლების დირექტორები და ინსპექტორები კი გაიძახიან: «არავის არ მიესცემთ ნებას რეა ეერსის სიახლოვეზედ სახალხო სკოლებისა საეკლესიო სკოლების გახსნისას. ჩვენის კურთხევის და ჩვენდა ნების დაურთველად სამრევლო სკოლის გახსნის ნება არავის აქვს»!! როდესაც ამისთანა განცხადებისათვის შენიშვნა მიიღეს ამ ბატონებმა, მასუკა სულ სხვა ღონე იხმარეს და ხმარობენ საეკლესიო-სამრევლო სკოლების საქმის დაბრკოლებისათვის. მაგრამ ყველა ამისთანა ღონენი და საშუალებანი ფუქად დარჩენ და რჩებიან რუსეთის შინაგან გუბერნიებში. სამწუხაროდ, ესევე არ შეიძლება სთქვას კაცმა ჩვენს მხარეში. აქ დიდი ასპარეზი აქვს ცილის მწამებელთა, მამუზლართა და საეკლესიო-სამრევლო სკოლების მტერთა და მოშურნეთა. როდესაც ხალხი გულისთ და სულით სციდილობს, რომ მათმა შეილებმა რუსული ენა შეისწავლონ, როდესაც ყოველთავე ღონის ძიებას ხმარობს ხალხი და არავითარ საშუალებას არ ზოგავს სახელმწიფო ენის შესწავლისათვის, როდესაც სასიკადულოდ მიაჩნია თავის მოძმესთან და მოყვასთან რუსულ ენაზე მუსაიფი, როდესაც საწყალი გლეხი კაცი თავის შვილს რუსის ოჯახში აძლევს ორი-სამი წლის ეადით უსასყიდლოდ, იმ პირობით, რომ მან რუსული ენა შეისწავლოს პრაქტიკულად, ამ დროს ზოგიერთი სულმდაბალი პირნი რუსეთის საზოგადოებას უმტკიცებენ, რომ ვითომც საქართველოში რუსული ენის სწავლების წინააღმდეგნი იყვნენ და არ სურდესთ ამ ენის შესწავლა. მითომც

საეკლესიო სკოლებში რუსულ ენას არ ასწავლიდენ და სხვა და სხვა და სხვა... *) მს ეკატატონები ამისთანა საქმეს სჩადიან იმ აზრით, რომ თავიანთი თავი გამოიჩინონ და დაიმსახურონ ის პატივი და დიდება, რაც დაიმსახურეს წიფლიანდიის მხარეში მათმა მოძმეებმა და ის კი ვერ გაუგიათ, რომ საქართველო სრულებით წიფლიანდია და პოლში არ არის, როგორც ზოგიერთები თავის დაწინაურებისათვის და ყოველის ღონის ძიებით აერცვლებენ ამისთანა უმგებანო აზრებს...

1886 წელში მათი აღმატებულების, უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის, მონსტანტინე პეტრეს ძის პოზედონასკეის მობრძანებისა გამო საქართველოში ჩვენ გამოვსთქეთ რამოდენიმე სიტყვა, თუ რამდენად სასიხარულო და სასარგებლოა მოგზაურობა, დახედვა და სტუმრობა ჩვენ მხარეში და ხალხში მაღალ თანამდებობის პირთა, რომლებზედაც ასე თუ ისე დამოკიდებულია ჩვენი ხალხის განათლების და სვე ბედის საქმე. ჩვენ ეამტკიცებდით მაშინ, რომ ეს პირნი უფრო ადგილად შეიტყობენ ნამდვილ ჩვენს საჭიროებას და ნაკლს, ხალხის გრძობას და მიმართულებას. მაღლობა ღმერთს, რომ ჩვენგან გამოთქმული აზრი, ცოტად თუ ბევრად, ყოველთვის მართლდება. ზოგიერთ პირთაგან გამოგონებული მოსაზრებანი და ბრალდებულებანი ჩვენი ხალხის წინააღმდეგ განქარდნენ, როდესაც ადგილობრივად და დაკვირვებით საქმე გამოიკვლიეს ამ უცხო პირთა...

მართალია, დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენში არსებობენ საეკლესიო-სამრევლო სკოლები, მაგრამ ამ მცირეს ხანშიაც საკმაო დევნა გამოსცადეს მათ

*) უნებლით გვაგონდება ბ. დარსკისაგან წარმოთქმული სიტყვა ბ. პერეგოზნიკოვის მოხსენების შესახებ. ბ. დარსკი სხლობაზე, სადაც თვითონ ბ. შემიაკინი ბრძანდებოდა, სთქვა: «არ არის დიდი ხანი, რაც პერეგოზნიკოვმა ვაკასიის სამასწავლებლო ოლქის გამგეობაში შემოიტანა მოხსენება, რომელშიაც აცხადებდა, რომ რუსული ენის სწავლება სამრევლო სკოლებში ქუთაისის გუბერნიის სრულებით გამოძიებულიაო». ნუ თუ მართალია ეს განცხადება? როგორც გვახსოვს, ბ. პერეგოზნიკოვმა ამისთანავე აზრი განაცხადა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის მოსვლის დროს 1886 წელში. ამ ხმების გამო უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორმა კეთილ ინება და მიანდო უ. გ. კ. საბლერს დახედვა ქალების სკოლისა ზონში, სააზნაურო სკოლისა ძველ სენაკში და წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სკოლისა ბათუმში. ყველა ამ სკოლებში ბ. საბლერმა შენიშნა, რომ ბევრად უმჯობესად იციან რუსული ენა, ვინემ სამინისტროს იმისთანავე სკოლებში. ქვემარტად გასაყიროველია ზოგიერთი კაცის ხასიათი!...

ზოგიერთ პირთაგან; მრავალი ცილი დასწამეს და სწამებენ ამ სკოლებს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ამ წელში სექტემბრის თვეში ჩვენში მოვიდა პეტერბურგიდან წვერი უწმიდეს სინოდთან დაარსებული სამრევლო სკოლათა უმთავრესი გამგეობისა ბ. ივანე მასილის ძე შემოაკინი, რომელიც დანიშნულია განსაკუთრებით სამრევლო სკოლების რევიზორად. მან დაათვალიერა ჩამოღწევი სამრევლო სკოლა მუთაისში და ობილისში და გამოიკვლია ჩვენი სამრევლო სკოლების მდგომარეობა. ობილისში ორგზის დაესწრო ქართლის ეპარქიის სამრევლო სკოლების გამგეობის სხდომებზე. ამ სხდომებზე საბოლოოდ გარდაწყდა სახალხო სკოლების დირექტორის თანადასწრებით და თანხმობით ისეთი კითხვები, რომელთა განმარტებამ ორგზის მოიარა პეტერბურლი, და განუმარტებლადე დარჩა. ამ ნომერთან გამოსულს რუსულს გამოცემაში წაიკითხვენ ამ სხდომებზე დადგენილ ჟურნალებს, რომელთა წყალობით ჩვენს საეკლესიო-სამრევლო სკოლებს დიდი წარმატება მოეწიოს. აქედით, მაგალითებრ, სამრევლო სკოლების მასწავლებელთა შეკრება ზაფხულობით პრაქტიკულად მასწავლებლობის მოვალეობის მტკიცედ შესწავლისათვის. ეს ზომა მიუცილებლად საჭიროა ეხლანდელი ჩვენი სამრევლო სკოლების მასწავლებლებისათვის. ღმერთმან ინებოს, რომ ის წყარო ფულისა, რომელიც არის დადგენილობაში ნაჩვენები, გახსნილიყოს ჩვენი სამღვდლოებისათვის და საზოგადოებისათვის სასულიერო და საერო მართებლობათაგან.

მეორე დადგენილობა შესახებ სახალხო სკოლების საეკლესიო-სამრევლო სკოლებად გადაკეთებისა და ზოგიერთი სოფლების საერო სკოლებას საჩო ფულების გადახდისაგან განთავისუფლებისა მტკიცედ სასიამოვნო და კანონიერია. ჩვენს საქართველოში ზოგიერთი საზოგადოებანი ხუთი-ექვსი სოფლისაგან შესდგება. საერო სკოლები სოფლის კანცელარიებთან აღაშენებინეს ხალხს, ნებით თუ უნებურად. სოფლის კანცელარიები დაარსებინეს ხალხს უმეტეს ნაწილად რკინის გზების და გზატკეცილების მახლობლად, რომ უფრო ადვილად შესძლებოდათ აღმინისტრაციის მოსამსახურეთა მისვლა-მოსვლა. ამისათვის ეს სკოლები ნამეტან ნაწილ მცხოვრებლებზე ძლიერ დაშორებულნი არიან. ამ სკოლებით სარგებლობენ მარტო მახლობელი სოფლის მცხოვრებნი და სხვა სოფლები სრულებით მოკლებულნი არიან სკოლის სარგებლობას. სკოლის შესანახავი ფული კი საზოგადოებას პოლიციის ძალით ყოველ წელიწადს ხდება. ღირე-

ტარები და ინსპექტორები სრულებით არ დაეძებენ იმას — ყველა გლეხის შვილებს შეუძლიათ სასწავლებელში სიარული, თუ არა. მითითების საჭიროა, არსებობდეს მარტო ერთი სკოლა საზოგადოებაში და ფულები იკრიბებოდეს მის შესანახავად. მოთმინებლად გამოსულმა გლეხებმა ამისთანა უკანონო გარდასახდისა გამო თავიანთი ხელით აღშენებულ სკოლის შენობები დასწვეს. ამ სკოლების გამგეთა ნამდვილი მიზეზი ხალხის უთანხმოებისა დაფარეს და წინ წაყენეს მათ ჩვეულებრივი მოხსენება: «ხალხს რუსული ენა სძულს და ამისათვის სასწავლებლის გახსნა არ უნდა». მაგრამ ეს უკანასკნელი მოსაზრება აშკარა სიცრუეა. მსივე გლეხები ბლომათ იძლევიან ქრთმას, რომ მათი შვილები გიმნაზიებში ან სხვა სასწავლებლებში მიიღონ. ღღეს ხალხმა ბევრ ადგილას განაცხადა სურვილი საეკლესიო სკოლების გამართვისა თავიანთ სოფლებში და იმ ფულებს, რომელსაც მათ სახალხო სკოლების სარჩოდ ახდევინებდენ, სამრევლო სკოლებს აძლევდნ. ღღემდის ამაზედ დიდს უარზედ იდგნენ საერო სკოლების მმართველნი. ღღეს, კი მაღლობა ღმერთს, ეს კითხვა საბოლოოდ და სასარგებლოდ ხალხისა გარდაწყდა. თუმცა მცხოვრებნი სამვერსის მეტზედ არიან მოშორებულნი სახალხო სკოლას, მათ შეუძლიათ ის ფულები, რომელსაც სახალხო სკოლის სარჩოდ ახდევინებდნენ, სამრევლო სკოლის გასახსნელად მოიხმარონ თავიანთ სოფლებში.

მესამე გარდაწყვეტილებით სრული თავისუფლება ეძლევა სამღვდლოებას სამრევლო სკოლების გახსნისა ყველა სამრევლოში, მიუხედელოდ იმისა, ამ სამრევლოში არის თუ არა საერო სკოლა. ღღეს შემდეგ «ლოცვა-კურთხევის» მიღება სახალხო სკოლების დირექტორებისაგან სამრევლო სკოლების გახსნის შესახებ სამღვდლოებისათვის საჭირო აღარ არის!...

დასასრულ, რამდენათაც შეეიტყეთ, ბ. შემოაკინი კარგის შთაბეჭდილებით წაბრძანდა ჩვენგან; იგი დარწმუნდა ადგილობრივ ყველა იმ ცუდი ხმების უსაფუძვლობაში, რომელიც შთაგონეს მას სამრევლო სკოლების მტრებმა. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მისი მოსვლა ჩვენში უნაყოფოდ არ ჩაივლის და საუკუნო მოსახსენებლად დარჩება მისგან დადგენილი აზრები მოსალოდებელი ნაყოფით.

დკე. დ. ღამბაშიძე.

სოფლის გლეხის ხმა გრაველთადმი სამკლესიო-
სამრეწლო სამზრუნველოების და მომართა დაარ-
სების შესახებ.

(დასასრული *).

საიდგან უნდა მოიპოვოს ფულები საეკლესიო
სამზრუნველომ?

რადგანაც საეკლესიო-სამრეწლო სამზრუნველო
არსდება ადგილობრივი სამრეწლოს საკეთილ-დღეოდ,
ამიტომ თავის საშუალებაც სამზრუნველომ უნდა
მოიპოვოს თავის სამრეწლოს შორის.

პირველი საშუალება უნდა აღმოუჩინონ სამ-
ზრუნველოს თვითონ მისმა წევრებმა. მღვდელმა თა-
ვის მხრით უნდა შესწიროს ორი მანეთი, მღვდელთ-
ნემ, მნათემ, მამასახლისმა და თვითთულმა წევრმა
ათ-ათი შაური. პირველად ესეც საკმაო იქნება. შემ-
დეგ წლებში თვითთულმა წევრმა სამზრუნველოსამ
უნდა შესწიროს იმდენი, რამდენსაც ისტრავებს. ამ
სახით საქმის დაწყებისა თანავე შეგროვდება თორმეტ
მანეთამდე, რომელიც იქმნება ქვა-კუთხედი ამა კე-
თილი დაწესებულებისათვის. ამის შემდეგ მღვდელმა
უნდა გაღიზადოს სამადლობელი პარაკლისი და გახს-
ნას სამზრუნველო. «მსგავს არს სასუფეველი ცათა
მარცვალსა მღოგვისასა, რომელი უმცირეს არს ყო-
ველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძნდეს, უფროს
ყოველთა მხალთა არს იგი, და იქმნის იგი ხე დიდ,
ვიდრე მდის მოვიდინ მფრინველნი ცისანი და და-
ადგრიან რტოთა მისთა». ამ სახითვე უფალი აღორ-
ძინებს სამზრუნველოს ამ მცირე თესლს. თვითთუ-
ლი წევრი სამზრუნველოსა ყოველ კვირა-უქმ დღე-
ებში უნდა დადგეს ეკლესიის კარებში და ხელში
დაიკავოს ყულაბი (კრუჟკა), რომელზედაც უნდა
იყოს შემდეგი ზედ-წარწერა: «საეკლესიო სამრეწლო
სამზრუნველოს სასარგებლოდ შესაწევნელად ღარიბთა».
მკლესიაში შემსვლელს მან უნდა უთხრას ეს ორი სიტყვა:
«ღეთის სამზრუნველოსათვის». ამის მეტი ხევენა
საჭირო არ არის. მინც კი შთაადგებს ყულაბში თა-
ვის მცირე შესწირავს, მზრუნველმა უნდა უთხრას:
«მადლობელი ვართ». წირვის გათავების შემდეგ შე-
ნაწირი ფულები მღვდლის თანადასწრებით უნდა და-
ითვალოს, ჩაწერონ წიგნში და გადასცონ ხაზი-
ნადარს.

*) იხ. «მწევესი»-ს № 18.

ზარდა ამისა სამზრუნველოს თვითთულმა წევრ-
მა უნდა იმეცადინოს, რომ შთაადგინოს სხვებსაც აღ-
მოუჩინონ სამზრუნველო, რაიმე შემწეობა. ბევრი
შემთხვევები აქვს კაცს, როდესაც იგი მზად არის
შესწიროს თავის ჯიბიდან შესწირავი, ოღონდ ვახ-
სენება არის საჭირო. მაღლი ღეთისა თავისთავად
აიძულებს კაცს რაიმე შესწიროს ღმერთს. შეიძლება
ბევრმა შეწირულების მაგიერ კიდევ გალანძლოს სა-
მზრუნველოს წევრი, მაგრამ მათ ეს ყოველივე უნ-
და მოითმინონ და მაშინვე მოშორდნენ მლანძღველს.
მათ, მსგავსად მოციქულებისა, უნდა დაითმინონ ყო-
ველივე ლანძღვა და წვალება ღეთის საქმისათვის.
«ნეტარ იყვენ თქვენ», რქვა უფალმა, «რაჟამს გდგე-
ნიდნ და გყვედრიდნ, და სთქვან ყოველი სიტყვა
ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის. ში-
ხაროდესთ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდუ-
ლი თქვენი დიდ არს ცათა შინა».

აგრეთვე სამზრუნველოს წევრთ, ქალებმა კა-
ცების მსგავსად უნდა იმეცადინონ ამ კეთილი საქმი-
სათვის. ძალს კაცზედ ნაკლებად არ შეუძლია კეთი-
ლი საქმის გაკეთება. ბევრს შემთხვევაში ქალები კი-
დეც სჯობნიან კაცებს ქველ-მოქმედების საქმეში.
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრე-
ბის დროს ქალები ემსახურებოდნენ მას თავისი შრო-
მით; ქალები დიდის ენებით და მწუხარებით მიჰყე-
ვებოდნენ მაცხოვრის გოლგოთაზე, მაშინაც კი, როცა
თვით ქრისტეს მოწაუენი შეშინებულნი გაიფანტნენ;
ქალები დილით ადრე მივიდნენ მაცხოვრის სასაფ-
ლაოზე, რათა ზეთი ეცხობთ მისი სხეულისათვის; ქა-
ლები იყვნენ გულს-მოდგინე აღმსარებელნი ქრისტეს
სარწმუნოებისა და მრავალი ეწამენ. სამზრუნველოს
ექვსმა წევრმა ქალმა უნდა გაიხაწილონ სამრეწლო
ექვს ნაწალად. თითოეულს წევრს შეუძლია თვეში
ერთხელ ჩამოიაროს თავის უბანი შესწირულებათა შე-
საყრებად. ამ სახით სამზრუნველოს დები შეკრებენ
შესწირულებათა თავიანთ საწყალ და გაჭირვებულ
მოყვასთა სასარგებლოდ. ღეთისმშობელი ყველა წმი-
და მწეველ-საცხებელ დედებით შეეწევა სამზრუნვე-
ლოს წევრთ და შეუმსუბუქებს მათ შრომას.
წევრებმა უნდა მიიღონ ყოველივე შესაწირავი, ფუ-
ლი იქმნება თუ სხვა რაიმე. მათ შეუძლიათ აქონ
შემწირველნი, მაგრამ არავითარიმე ცუდი სიტყვა არ
უნდა წარმოათქვან მათზე, რომელნიც შეწი-
რულებას არ გამოიღებენ. ღვთს არ შესწირეს,
ხეალ შესწირენ.

ამასთანავე სულიერი მწყემსი უნდა ცდილობდეს შთაგონოს, რომ სამწყსოს თითოეულმა წევრმა შემწეობა აღმოუჩინოს სამზრუნველოს. მღვდელს ხშირად იწვევენ ავადპოვნეთან საზიარებლად ანუ სხვა რაიმე მღვდელ-მოქმედებისათვის. სხვა დარიგებასთან ერთად მწყემს შეუძლია ურჩიოს შეძლებულ ავადპოვნეს, რომ მან თავის სულის საოხად რაიმე შესწიროს სამზრუნველოს. აგრეთვე მღვდელს შეუძლია მოაშლევინოს მრევლის უბრალო ხარჯები მიცვალებულების დამარხვებზე და მათ აღაპებზე და ამ ხარჯთა მცირე ნაწილი შეაწირვიოს სამზრუნველოს სასარგებლოდ.

ცხოვრებაში ბევრი ისეთი შემთხვევები გვაქვს ჩვენ, როდესაც უფრო შეგვიძლია შემწეობა აღმოუჩინოთ სამზრუნველოს. ასეთი დრო არის შემოდგომა, როდესაც ვეწვევით წლის მოსაფალს. სწორეთ ამ დროს უნდა გავისწავლოთ ობოლნი და ქერიენი და, რაც მოგვცა ღმერთმა, იქილამ რამოდენიმე ნაწილი უნდა შევსწიროთ მათ. ჩვენ არ უნდი დავეიფყოთ ძველი წმიდა მცნება ღვთისა, რომელმაც გვიბრძანა წლის მოსაფლის ნაწილი გაუზიაროთ ქერიეთა და ობოლთა.

ჯერ-ჯერობით ამ წყაროებიდან შეიკრიბება ფულები საეკლესიო-სამრევლო სამზრუნველოებისათვის. ეს ფულებიც საკმაო იქნება, ამ სახითაც ბევრი შეიკრიბება, თუმცა ღმერთი ხელს მოუშობრთავს ამ კეთილს საქმეს.

თვითველი ქრისტიანე ვალდებულია ხელი მოუშობრთოს ამ კეთილს საქმეს და, შეძლებისამებრ, შესწიროს რაიმე თავის ღირებ მოყვასთა სასარგებლოდ, თუ არა სურს, რომ საშინელი განსჯის დროს გაიგონოს შემდეგი სიტყვები მაცხოვრისა: „მოიდა, და არა მეცით მე ჰამადი; მწყუროდა, და არა მასვით მე. უცხო ვიყავ, და არა შემეწყნარეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა, და არა მოხვედით ჩემდა. ამინ გეტყვით თქვენ, რადენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ. ამიტომ წარვედით ჩემგან, წყეულნი, ცეცხლისა მას საუკუნესა, რომელი განძადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოსთა მისათვის».

«მწყემსის»-ს პორაქსონდენსი

რაჭის მაზრადგან.

ამ ოცი წლის წინეთ დაბა მონი მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო. მის სიმდიდრეს, მის აელადიდებას შეადგენდა იქა-აქ ქუჩის პირად წამოკუზული თითო-ოროლაფიკრული დუქანი და რამოდენიმე ფიკრულივე სადგომი ქოხი. ხან ერთს დუქანს გადაბუგავდნენ ცეცხლით, ხან მეორეს, ხან ერთი ქუჩა დარჩებოდა ობლად, ხან მეორე და იყო ამ გვარ გაჯახრებულ მდგომარეობაში. ბოლოს მოხდა ღმერთმა ამ დაბასაც და მიუჩინა კაცი, რომელმაც იკისრა მისი მტკიცე საფუძველზე დამყარება. ეს კაცი გახლავთ თვით დაბა მონის მკვიდრი პატრიცკმული და ღირს პატრიცკემი აზნაური შრიდონ ჯაფარიძე. როგორც შეძლებულმა კაცმა ბ. შრიდონ ჯაფარიძემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო დაბა მონის განმშენებაში. მან გააკეთა პატარა სასიერო ბულვარი, ააშენა ბაზრის ყანთარი, ააგო ევროპიულ გემოზე რამოდენიმე შენობა და თითოეულ სამმართველოს გაუჩინა შესაფერი ბინა ჯეროვანის ქირით.

თუმცა ყველა ესეები ბ. ჯაფარიძის პირად სარგებლობას შეადგენენ, მაგრამ ჩვენ გვაქვს საბუთი დავარწმუნოთ მკითხველი, რომ იგივე ჯაფარიძე, ვითარცა ქვემარტი ქრისტიანე, არა ნაკლებ იღვწის საზოგადო საქველმოქმედო საქმისათვისაც სრულიად უანგაროთ. მაგალითად, ამ ბოლოს დროს მან იღვა თავს დაბა მონის ეკლესიის აშენება თავისი საკუთარის ხარჯით. აქაური ეკლესია თუმცა ქვეთიკრისა იყო, მაგრამ კათხა სახლოურად აშენებული და ძლიერ პატარა, რომელმაც ყოველად შეუძლებელი იყო 40 კაცზე მეტი მოთავსებულიყო. ღიდი ხანია, რაც ბ. ჯაფარიძეს სახეში ჰქონდა ამ ეკლესიის გადაკეთება, და თუ თანამგრობი ეინმე გამოუჩნდებოდა, ახალ გეგმაზე ხელახლის აღშენება, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი არაფერი გაუჩნდა. «ნეტარ არს კაცი, რომლისა სახელი უფლისა სასომისა არს და არა მიხედნა ამოვებასა, არცა სიცილისა ტყუილისასა. (ფს. ღვთისა 39 მუხ. 4).

მეყენის ამოვებამ და წუთის სოფლის დრტინვამ ვერ შეარყიეს გული ამა მართლ-მორწმუნე ქრისტიანისა მისხ კეთილ განზრახულებაში. თავისი უმუროალი ღვაწლი მან შეება სარწმუნეობის უღელქვეშ

და წრფელის გულით შეუღება ხსენებული ეკლესიის აღშენებას. მაისის გასულს ამაწლისა შრიდონ ჯაფარიძის მიერ იქმნა მოწვეული ქ. მუთაისილამ დაბა მნ-ში ხუროთ-მოძღვარი (архитекторъ) ახალი ეკლესიის გეგმის შესადგენად. მაისშივე შეუდგენ ხსენებული ეკლესიის შენებას. გარემოცულრბა, სატყუო ეკლესიისა ორ-ზომად შეტია უწინდელზე და გეგმა-შეწინიერი. ეკლესია შენდება გუმბათით და სამრეკლოთი, ღებურულ უნდა იქმნეს თუნუქით და ილესება ალი-ბასტრით. 17 სექტემბერს დაბა მნ-ში მოზრდების-თანავე ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსმა ბაბრიელმა იწება ამ ეკლესიის შენობის ღათვალ-იერება; აქვე მათ მეუფებას დაუხედა აღმაშენებული ამა ეკლესიისა შრიდონ ჯაფარიძე. მათმა მეუფებამ ლოცვა-კურთხევასთან მაღლობს ღოდენა-მ. ჯაფარიძეს ამ გვარ-მის საზოგადო კეთილ-მოღვაწეობისათვის და მასთან გაამხნევა სულიერის ღარიგებით, რომელშიაც იხატებოდნენ ეს სიტყვები:

«მოღვაწეობის სახელი

ბეირგვინად თაფზე დაიდგმის

სიკედლის შემდგომ სახელად

საშეილიშვილოდ გაითქმის».

მღვ. მისეულ გაგაშელი.

საისტორიო მასალა

1650 წელსა საქართველოში მოგზაურობა მეფის აღექსი მისაღლის მის მიერ გამოგზავნილ დესპანთა იმერეთის მეფე აღექსანდრესთან და ამ დესპანთაგან გელაფის მონასტრის და ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის აღწერა და ამ ტაძრებში მათგან ქაოლიგოსის წინგის მოსმენა.

(გაგრძელება *)

იმევე ტაძრში, საუფლო კარების შირ-და-შირ განისვენებს ქათალიკოსი არტემი, სოლო მარცხნით, სამსრეთის კარებთან მარცხა საქართველოს მეფის თეიმურაზის შვილის-შვილი გიორგიძე დავითისა, გიორგის სასაფლაოზე დგას კერცხლის შანდალი სანთლით, თავით უდევს ქუდი და ხანჯალი, გვერდით უნაზირი, ფერხით ქოშები.

წმიდანთა მოწამეთა და კეთილ-მსახურთა ბერძნის და მეღვთის მეფეთა ომების აღწერილობა.

ამ დიდ ტაძარს აქვს ეგუტური ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის სახელზე. მასში ასვენია ღვთისმშობლის ხსტი, რომელიც დაფარულია ოქროთი, სოლო კიდობანი და დასაკეტი დაფარულია კერცხლით. ღვთისმშობლის სამოსელი, რომელზედაც დასატულია წმიდანები, მართულია ბერძნისა მარგალიტებით.

მეორე გვერდით არის დიდი ჯვარი სიგრძით ერთი სვენი და სიგანით ნახევარი; ეს ჯვარი მთლად დაფარულია კერცხლით. ჯვარის შუა გული სიგრძით და სიგანით სელის დადების ოდენაზე თავიდან ბოლომდის მართულია ოქროთი, რომელზედაც ამოჭრილია ჯვარცმა, მთავარ-ანგელოსნი და ქებაბიძნი.

ტაძრის სვეტს სახარება, რომელიც მართულია ოქროთი, მასზე ამოჭრილია ჯვარცმა.

საკეკლესიო ჭურჭელნი ყველა ოქროსა არიან, სოლო ბარძიმი, ღანგარი, კოვზი და ჯვარი ბროლისანი. ჯვარის ბოლო, თავი და სელის მოსაკიდებელი დაფარულია ოქროთი. შუა ადგილს დასატულია ჯვარცმა, ბოლოებში ქებაბიძნი.

ამავე ეგუტურში განისვენებს მეფე გიორგი, მამა მეფის აღექსანდრესი. საფლავზე გადაფარებულია ოქროს ქსოვილი ატლასის სამოსელი.

ტაძარი დიდია. ნაშენია თლილი ქვითა, კედლის ზოგიერთი ქვა ორ სვეტს ნახევარია სიგრძით. ამავე ეკლესიის უკან არის ქვის ეკლესია წმ. გიორგის სახელზე. ტაძრის კედლები დასატულია მარჯვნივ ხსტი ყოვლად წმ. ღვთისმშობლის სახე და სამოსელი მოჭრილია ოქროთი და მართულია იაგუნდებით და მარგალიტებით. კედლობი გაკეთებულია კერცხლისაგან, მასზედ ამოჭრილია დღესასწაულები და წმიდანები. ტაძრის ყველა ჭურჭელნი არიან ოქროსა, ტაძრის ჯვარი დაფარულია ოქროთი, მასზედ არის გამოხატული ჯვარცმა, სხვა ხატები კი მოოქრვილი კერცხლისანა არიან.

იმევე ტაძრში, საუფლო კარების შირ-და-შირ განისვენებს ქათალიკოსი არტემი, სოლო მარცხნით, სამსრეთის კარებთან მარცხა საქართველოს მეფის თეიმურაზის შვილის-შვილი გიორგიძე დავითისა, გიორგის სასაფლაოზე დგას კერცხლის შანდალი სანთლით, თავით უდევს ქუდი და ხანჯალი, გვერდით უნაზირი, ფერხით ქოშები.

ქალაქის აღმართის კარებთან, სადაც რკინის ჭიშკრები, დაფარულია ეგუტური წმ. მოწამის დიმიტრის

*) იხ. «მწვეთი»-ს № 18.

სახელზე; იმა ეკუთრების წინ აღუდგას კარებში დასაფლავებულია მეფე დავითი, რომელიც ეომებოდა ვიზიზ-ბაშებს და რომელმაც ის აღაფთხის კარები მოიტანა დიკბენტიდგან. ეს ტაძრებიც ამ მეფის დავითისაგან არიან აღშენებული. ქალაქის გველზე აღშენებულია თეოტოქტი დიდი და საშუალო დარბაზი. ამთ რიცხვში ერთი დარბაზი დიდია, სიგრძით იქნება ოცი საყენი, სოლო სიგანით და სიმაღლით რვა. ამ დარბაზში გაკეთებულია ადგილი, სადაც მეფე ზურა სჯამს სოლო. ზალატის შუა ადგილს კარების პირ-და-პირ სვეტებზე სდგან მარმარილოს თილქანი სიგრძით ორი საყენი, სიგანით კი საყენზე მეტი. თილქანზე გადართულია ხალიჩა. იმავე დარბაზში დაფლულია დიდი ქვევრი. მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ იმ ქვევრში ჩასხმულია მთელი წლის საყოფი ღვინო მეფისათვის. ქვევრში ჩადის სამას სამოცდა ხუთი საყენი. ყოველი ღვინათვის თითო საყენი ნაზგარიშები. საყენი საკმაოა ორმოც-და-ათი გაციასთვის. ქალაქ გელათის ზემო არის ორი ქვის ეკლესია, ერთი ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის სახელზე და მეორე წმიდა სასწაულთ-მოქმედის ნიკოლოზის სახელზე. ეკლესიები დაშორებული არიან ერთი ერმანეთისაგან და თითოეულს აქვს შემოკლებული ქვის გალავანი. როგორც ქალაქს, ისე იქაურს ყველა ეკლესიებს განაგებს მიტროპოლიტი საქარაა. ქუთაისიდან გელათამდის არის შვიდი ვერსი. ქალაქის მხლობლად არის ქვის დიდი სვეტი სიგანით ორი საყენი. ამ სვეტში გამოყვანილია წყალი. როცა სვეტს ახლან თავს, წყალი სცემს ზემოთ საყენის სიმაღლეზე. ამ სვეტიდან წყალი მიდის ქალაქ ქვეშ და გაყვანილია ყველა დარბაზებში და ოთახებში. როდესაც ნიკიფორი და ალექსი გააოგნეს ქალაქის და ტაძრების დათვალიერება და აღწერა, მიტროპოლიტმა საქარაამ მიიპატიჟა ისინი ზურის საჭმელად. ნიკიფორი და ალექსი წავიდნენ მიტროპოლიტთან. სადილათ სტოლზე მარცხენა მხარეზე ისხდნენ. დესპანთათვის ადგილი მომზადებული იყო. იმ დიდ დარბაზში დაგებული იყო ხალიჩები მეფის საჯდომი ადგილის პირ-და-პირ. დესპანთ მიართუეს სახსნილო საჭმელი, სოლო მიტროპოლიტს სამარხო. ზურის ჭამის დროს მიტროპოლიტმა დალია სადღეგრძელო რუსეთის მეფის დიდი მთავრის ალექსი მისხაილის ძის და თავის შემდეგ იგივე სადღეგრძელო დააღვინა ყველას. სადილის გათავების შემდეგ ნიკიფორი და ალექსი დაბრუნდნენ ქალაქ ქუთაისში.

15 ივლისს მეფე ალექსანდრე თავისი აზნაურის

თაშის პირით ნიკიფორეს და ალექსანდრეს, რომ მათ დათვალიერებისათვის მისი სატახტო ქალაქი ქუთაისი, საკათედრო ტაძარი და მეფის სასახლე.

ნიკიფორი და ალექსი წავიდნენ ქალაქის და საკრებულო ტაძრის დასათვალიერებლად. ქალაქი ქუთაისი არის ქვის; ქალაქს გარშემო შემოკლებული აქვს ქვის ზღუდე სიმაღლით სამი საყენი, სოლო სიგანით საყენი; საკათედრო ტაძრის პირდაპირ არის ოთხი დიდი დარბაზი. გვიამბეს, რომ ამ დარბაზებში სცხვრებდნენ ქათალიგოსები. ქალაქს გარშემო 15 ტი დიდი და ზატარა კოშკია. ზოგან ქალაქის გველები და კოშკები დანგრეულია. გვიამბეს, რომ უწინდელს დროში ეს გველები და კოშკები დაუნგრევიათ ზარბაზნებით თათრებს, დღეს კი ამ დანგრეულს გველებს და კოშკებს აშენებენ. ქალაქი გაშენებულია მთაზე, მდინარე რიონის ზემოთ.

დიდს ქალაქს ქუთაისში არის საკათედრო ტაძარი ქვისა. დახურულია სპილენძით. ტაძარი არის ნაშენი დიდი თლილი ქვებისაგან. ტაძრის მხლობლად არის ქვიშაირის ზღუდე, სიმაღლით ორსაყენი, სოლო სიგანით ნახევარი. აღაფთხის კარებთან არის სამი დიდი დარბაზი თითოეული რვა საყენი სიგრძით. სამრეკლო არის ქვის; მასზე ჭვიდა ერთი ზარა წონით რვა ფუთი; ზარას აქვს ორი ენა. ტაძარი აღშენებულია ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელზე. ტაძარში არის რვა რვალი სვეტი. გუმბათ ქვემოთ გაკეთებულია საუცხოო სენაკები, რომლებსაც შესასვლელი აქვს ტაძრიდან. გვიამბეს, რომ ამ სენაკებში სდგანან ღვთის და წირვის დროს მეფე და დედოფალი, რომელნიც ზემოდან დასცქერაან ხალხს, სოლო ხალხი მათ გერ ხედავს. ტაძარში მარჯვენა მხრით სვეტთან არის მეფის ადგილი, რომელზედაც დასტოვნი არიან მეფეები. ამ ადგილის პირდაპირ გველთან არის საგურთხეგლის ხატი ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა, გვირგვინი აქვს ოქროსი, ტანთ-საცმელი ღვთისმშობლისა და მცხოვრისა და კიდობანი დათვარული არიან ვერცხლით და ოქროთი. მათზე ამოჭრილია არიან საუფლო დღესასწაულნი და წმიდანები. ხატამდის იქნება ერთი საყენი სიმაღლე. ამიტომ გაკეთებულია ქვის სამი საფეხური, რომელზედაც ადიან, რათა ემთხვიონ ხატს. ამ ხატიდან სამეფო კარებისკენ ჭვიდა ორი ხატი მცხოვრისა და ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა. გვირგვინები და ტანთ-საცმელები არიან ვერცხლისა მოჭრილინი. ხატებ შუა არის ვერცხლის ჯვარი, სიგრძით ერთი არშინი, სიგანით სამი ჩარქი. ჯვარი მოჭერი-

ღია ძვირფასი ქვებით; მუში ჩამოსხმულია უფლის ჯვარცმა, ჯვარცმის ზემოთ გაკეთებულია ოქროს კიდობანი, ხოლო კიდობანში, როგორც ამბობენ, არის ნაწილი ცხოველ მყოფელის ხისა, უფლის ჯვარცას, კიდობანს დასასურავა აქვს ოქროსი, მოთუღაა იატუნდებით, ხოლო ჯვარცმის ქვემოთ არის ვერცხლის კიდობანი, რომელშიაც არის პატარა ჯვარი. როგორც გვითხრეს, იგივე ცხოველ-მყოფელის ხისგან არის გაკეთებული. სიგბით ეს ჯვარი ორი გოჯია, ხოლო სიგანით გოჯა ნასკვარი.

იმავე მხარეზე, საუფლო კარებთან, არის ხატი უოვლად წმიდა ღვთის-მშობელისა საუყუნო მათუთ; გვირგვინები დაფარულია ოქროთი; ღვთისმშობლის გვირგვინში ჩაჯენილია დიდი იატუნდი; აქით აქეთ გვერდებზე მიჭედულია ორი ოქროს კიდობანი, რომლებშიაც, როგორც გვითხრეს, არის ნაწილი წმიდა მოციქულის თომასი; გვიამბეს, რომ ეს ღვთისმშობლის ხატი მოუტანიათ კონსტანტინეპოლიდან. ამ ხატით დაულოცა მუჟე კონსტანტინეს თავისი ქალი, როცა მიუთხოვდა იმერეთის მეფის დავითისათვის, რომელსაც მოუტანია ეს ხატი თან ქუთაისში. ეს ხატი შეძეულია უოვლად ძვირფასი ქვებით და მარგალიტებით; მარჯვ უოვლივე მოუტანია ქათალიკოს ატრემას და იმ ოქროსაგან გაუკეთებია თავის გვირგვინი და გვერთხი, ხოლო სამღვდელ-მთავრო ბისონისა და სამაჟურებისათვის შესაკრავები. შემდეგ ეს ქათალიკოსი წასულა ქუთაისიდან ქალაქ დიანაში, სადაც წაუღია უოვლივე. გზაზე ქათალიკოსს დასცემიან აკასკები, ქათალიკოსი გაქცევია აკასკებს, მაგრამ გზაზე გადმოვარდნილა ცხენადამ და სასიკვდილად დაჭრილა. მისი სიმიდრე დაუსაკუთრებია მის დიკონს და სხვებს და გაქცეულან მათზე; ქათალიკოსი უნახვით მკვდარი და მოუსვენებიათ ქუთაისში და დაუმარხავთ ქალაქ გელათში. ამ ქათალიკოსის გვირგვინი და გვერთხი მოუტანიათ ქუთაისში და შეუნახვით საკრებულო ტაძარში, დღესაც იმ გვირგვინს და ბისონს სმარობენ ქათალიკოსები.

მარცხნივ არის ხატი ადგილობრივი ღვთისმშობლისა საუყუნო მათუთ, ღვთისმშობლის და მაცხოვრის გვირგვინები არის ოქროსი. ამ ღვთისმშობლის ხატის შესახებ გვიამბეს, რომ ეს ხატი უშინ უოვლად გუჩაში იქნურ ქალაქ პოლესტანის საკრებულო ტაძარში; შემდეგ ღვთის განკებით ეს ხატი გადმოუსვენებიათ ქალაქ ქუთაისში და დაუსვენებიათ საკრებულო ტაძარში. ხატი მოუსვენებიათ ქუთაისში მეფის

გიორგის დროს; ხოლო ჩამოდენი წელია მას უკან, არ იცნან. იმავე საკრებულო ტაძარში საკურთხეველში, ტრაპეზზე გადასაფარებელი არის ოქროს სავერდის; ჯვარი მოთუღია დიდი მარგალიტებით; ტრაპეზზე სახარება მოაქვრილია. სახარებას ერთ გვერდზე ამოჭრილია ჯვარცმა, ხოლო მეორე გვერდზე ამოჭრილია მაცხოვარი, უოვლად წმიდა ღვთის-მშობელი და იოანე წინამძღვარი; სავერდისა ჭურჭელნი სულ ოქროსი არიან. ორი საცეცხლეური ვერცხლისა, იმავე დიდს ქალაქში საკრებულო ტაძრის უკან არის მოთხუთხი ციხე, რომლის კედლები სიმაღლით არიან ათი საყენი, სიგანით ცოტა ნაკლები საყენზე. ციხის კედლებზე აღმენებულია შვიდი გოშვი, თითოეული გოშვი სიმაღლით თორმეტი საყენი იქნება. ქალაქს აქვს ერთი დიდი ლავაფის კარები, რომელთაც დასაკეტი აქვს რკინისა. ციხეში არის ქვ-ს ეკლესია წმიდა მოწამის გიორგის სახელზე, დესპანთ ეს ტაძარი არ დაუთვალიერებიათ, რადგან იგი დაკეტილი იყო მეფის ბეჭდით.

* ნ მ კ რ ო ლ ო ლ ი *

ანდრია იაკობის მე მრევლიშვილი.

წარსულ სექტემბრის ხუთს გაუმადლარმა და ღუნდობელმა სიკვდილმა მოაკლო პატრიარხის მშრომელ გუნდს ერთი ღრმით პატივცემული და დამსახურებული, ტბილი მოხუცი ანდრია იაკობის ძე მრევლიშვილი.

ბანსვენებულმა ანდრია იაკობის ძემ მიიღო განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც დაასრულა სწავლა ერთ უკეთეს შეგირდათ. თუმცა განსვენებულს სოფლის მღვდლის ასპარეზზედ საშრომლად ამზადებდნენ, მაგრამ მისი სულიერი მოთხოვნილება, მისი ნამდვილი მოწოდება კი სულ სხვა ასპარეზზედ იწვევდა სამუშაოდ. ბანსვენებულს კარგათ ჰქონდა შეგნებილი მაღალ მნიშვნელობა, როგორც სოფლის მღვდლის სამსახურისა, აგრეთვე სახალხო მასწავლებლისა და რადგან სოფლის მღვდელი და სახალხო მასწავლებელი თითქმის ერთსა და იმავე წმ. ტაძარს—ხალხის გონებით და ზნეობით ამადლებას ემსახურებიან, აირჩია პედაგოგიური ასა-

*) იქნება ზოგიერთებმა ეს ნეკროლოგი დაგვიანებულად მიიღონ, მაგრამ განსვენებულ ა. ი. მრევლიშვილზე სიტყვა არასოდეს დაგვიანებულად არ ჩაითვლება.

რედ.

რეზი და კიდევაც შესწირა მას თავისი ნორჩი ძალა. მისახურა მას წმიდათ, ნათლად და ხანგრძლივად ორმოცი წლის განმავლობაში. არ იზიდავდა მას ამ ასპარეზზედ არც დიდი ჯამაგირი, არც ორდენები, არც თვალთ საჩინო ადგილი საზოგადოებაში, არამედ სრული იმედი და რწმუნება—სიყვარული იმ თაობისა, იმ პატარა თავის მეგობრებისა, რომელნიც შეადგენენ ჩვენი სამშობლოს დედა ბოძს და შეუჩუქვევს ბურჯსა.

ზანსვენებული სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ერთი სიღარიბის დამხოში და დამამცირებელი სახსარი ხალხის გონებითი განვითარება არის. რამდენათ გონება განვითარებულია კაცი, რამდენი მეტი ცოდნა და გამოცდილება შეუძენია იმდენათ იმისი ეკონომიური კეთილ-დღეობაც უმჯობესია, იმდენათ უფრო წარმატებაში შედის იმისი ცხოვრება, იტყუადა ხოლმე განსვენებული და ხშირად ამ აზრით აღჭურვილი ისეთ მოზარდ ემაწვილებს ღებულობდა თავის სასწავლებელში, რომ ერთ დროს ქუთაისში მოსწავლეთ შორის ხშირად გაიგონებდით ამ გვარ ფრაზებს: «შენ, ძმაო, იმოდენა ხარ, რომ მრევლოვის კლასშიდაც აღარ მიგიღებენო.»

შუანასკნელ დროს განსვენებული ქუთაისის ორ კლასიან ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველად ითვლებოდა, სანამ ამ სასწავლებელს დღევანდელ სამოქალაქო სასწავლებლად გადააკეთებდნენ. ამ სასწავლებელს ხალხი «მრევლოვის კლასს» ეძახოდნენ.

მართლაც ერთს ჩემს შეგირდთაგანსაო, მიაშობო განსვენებულმა, დიდ მთავარ მიხაილი ნიკოლოზის ძისათვის მიუერთმევია თხოვნაო და შიგ დაუწერია: გავათავე მრევლოვის კლასიო და სხვანი.»

დიდ მთავარს გაჰყირვებია და დირექტორისათვის მიუწერია: მაცნობეთ რა სკოლა არის ეს «მრევლოვის კლასიო».

ამ სასწავლებელში სწორეთ რომ ნამდვილ პედაგოგიურად და რაციონალურად ჰქონდა ყველაფერი მოწყობილი. როგორც სასწავლებელში, აგრეთვე გარეთ ცხოვრებაში მოსწავლე ემაწვილებს გვერდს უდგა მასწავლებელი ამხანაგი, გონიერ გზის მაჩვენებელი გამწვრთნელი ანდრია იაგორის ძე მრევლო-შვილი და ყველაფერს, რასაც ცელქი და დაუდგრომელი ემაწვილების ბუნება და ცნობის მოყვარება მოითხოვდა—აცნობებდა, უხსნიდა და გონებით ავარჯიშებდა მათ. ემაწვილები მასში ხელა-

ვდნენ წყნარს, ტკბილს, თავის დღეში გაუჯავრებელს უფროსს ამხანაგს და სანდო მეგობარს, ვიდრე სახანაგით და ცემა ტყვით აღჭურვილ დესპოტ მასწავლებელს.

თუ მოთმინებიდან გამოიყვანდი, ამას გეტყუ-და და იმასაც მხიარულის სახით: «ჩემო ბამბის ტო-მარაო, გინდ ესწავლე, გინდ არაო.» მს იყო იმისი დასჯა, ეს იყო იმისი სასიკედირო განჩინება. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა: სასულიერო სასწავლებელში ესწავლობდი; მეოთხე გაკვეთილზედ მასწავლებელი არ გეყავდა და «მრევლოვის» კლასშიდ წავედიო საყურებლად, რადგან იქაური შეგირდები გვეჯიბრებოდნენ, ჩვენ უფრო კარგათ გვასწავლიანო. ამ დროს ეს სასწავლებელი სიღაზედ იყო მოთავსებული. შევედიო ეზოში, გაკვეთილი დაწყებულია და იმ კლასში, რომელშიდაც ჩვენ პირველად მოგვიხდა შესვლა, მამა ზეშედაშვი-ლი ასწავლიდა საღმრთო წერილს. შესვლისთანავე გაგვიჯავრდა მამა ზეშედაშვილი და გამოგეყარა გარეთ. მამა ზეშედაშვილის ხმაზედ მეორე კლასიდგან უეცრივ თავი გამოყო ტკბილის სახის მოხუცებულმა მასწავლე-ელმა, რომელმაც ჯერ გაგვიღიმა, მერმე მიგვიწოდა, შეგვიყვანა კლასში, დაგვაჯინა და მთელი საათი გვასმენია გეომეტრიის გაკვეთილი, რომელმაც ძრიელ გვასიამოვნა და გაგვახარა. შემდეგ მამა შეილურად და ტკბილის სიტყვით დაკვარიგა, რომ ასე ტყუილა უბრალოთ გაკვეთილების დროს სხვა სასწავლებელში თრევა-ხეტიალს ნუ დაიწყებთო. ეცადეთ და ისწავლეთ, რომ კარგი კაცები გამოხედეთო და სხ.

ზანსვენებულს კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რა ზედაღმტრენი და ღრმა ზნეობითი გავლენა აქვს მოზარდ თაობაზედ გალობას და მუზიკას, გრძნობდა კარგათ, თუ როგორ სწმენდს, აკეთილ-შობილებს და ზნეობას უმაღლესს მოზარდ თაობას გალობა.

გრძნობდა და კიდევაც აგვირვინებდა ამ გრძნობას. მშვენიერად ჰქონდა შესწავლული ქართუ-ლი სახალხო და საეკლესიო საგალობლები და გავრცელებული ხალხში. სასიამოვნო საყურებელი იყო, როდესაც ქალარა, ტკბილი მოხუცი ანდრის იაგორის ძე შუაში იდგა და გარშემო სამი გათხო-ვილი ქალიშვილი ორი სიძით მშვენიერის კარბე-ლოვის კილოთი იგალობეს ერთხელ ჰვირილის ნათლისმცემლის ეკლესიაში. მოხუცის მწყნარი, მშე-

დი და ტკბილი ხმა გარმონიულად უერთდებოდა ნაზს, წმინდას და ნარ-ნარს ქალიშვილების ხმებს, და ერთად ამ გვარად შეზავებულმა გალობამ ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზედ, რომ არც ერთ იქ მდგომ ქართველ გულს მისი გულიდგან ამოხოცვა არ შეუძლია. მანსვენებულს ხშირად სილარიბის გემოც უნახავს და გამოუცდია, მაგრამ ნეტავი იმ ცხოვრებას და სილარიბესაც, სადაც კაც კაცს სცნობს, გული გულსა გრძნობს და სული სულს იზიდავს! ნეტავი იმ სილარიბეს, რომელიც შენის მოძმის შენის უნცროსის ძმის საკეთილდღეოთ და საბედნიეროდ მოგნიჭებია. ნეტარ ხსენებული ყოველი კაცის მოსიყვარულე და შემბრალებელი იყო და ისიც განუსაზღვრელად უყვარდა ყველას. პირველ შეხედვაზედ უცნობიც კი იკითხავდა: ეს ტკბილი მოხუცი ვინ არისო? მანსვენებული თუმცა გარდაიცვალა, მოგეშორდა საუკუნოთ ამიერ წუთისოფლისგან, მაგრამ სახელი მისი დიდხანს დარჩება ჩვენში დაუფიწყარი. ჰოვალ მის ნაცნობს თვალწინ წარმოუდგება მისი მშვიდი, ნაზი და შრომით დაღლილ-დაქანცული აჩრდილი და ჩაგონებით ჩამოსძახებს პოეტის სიტყვებს:

«არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს ღღენია;
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია».

თეოფილე ხუსკიკაძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ მივიღეთ საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო წიგნი შედგენილი მ. ნესტორ შუბანიშვილისაგან. წიგნი უყდოთ ღირს 70 კ. წიგნი დაბე-

ჭდილია ქუთაისში ზედგენიძის და შერაძის სტამბაში. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი.

ჩვენ მივიღეთ კათოლიკთა მღვდლის მამა პ. სელმ მღებრიშვილისაგან მისგანვე ნათარგმნი რუსული ენიდან და გამოცემული წიგნი, სახელად «მობაძვა ქრისტესი» — თხზულება მომა კეშაიელისა. ჯერეთ მარტო გამოცემულია ორი ნაწილი. ნათარგმნია ჩინებულის გასაგები ენით. მასთან წიგნი სუფთად და კარგის ბეჭდით არის გამოცემული. ცალი წიგნი უყდოთ ღირს ორი აბაზი. სწორეთ საქები მ. მღებრიშვილის შრომა. მართულს ლიტერატურაში ეს წიგნი სწორეთ შესამჩნევ განძად ჩაითვლება. ეს წიგნი ყოველ ენაზე არის გამოცემული და ღღემდის ჩვენში მ. მღებრიშვილის გარდა კაცი არ აღმოჩნდა, რომ ეს წიგნი ეთარგმნა. მ. მღებრიშვილი აცხადებს, რომ წიგნის დანარჩენი ორი ნაწილიც მალე გამოიცემაო. ეს წიგნი ისე მდიდარია თავისი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსით, რომ ყოველი ქრისტიანე უსათუოდ ეცდება შეიძინოს იგი და მისი წაკითხვით სული და გული დაიტკბოს.

გამოცემული სურათებით ლეკ. დ. ლამბაშიძისაგან სახელმწიფანელო წიგნი, რომელიც მოწონებული და ნება-დართულია სახელმძღვანელოდ უწმდესი სინოდისაგან სამრევლო და სახალხო სკოლებში ისყიდება: თბილისში ბრიჭუროვის წიგნის მაღაზიაში და «მწყემსის» რედაქციაში. ქუთაისში: ძმ. შილაძეების წიგნის მაღაზიაში და «მწყემსის» რედაქციის სტამბაში. ეს წიგნი, როგორც გამოცხადებული იყო, გამოცემულია ორნაირად: რუსულს და ქართულს ენაზედ და მარტო ქართულს ენაზედ — პირველი ღირს 50 კ. და მეორე 30 კ. ათის ცალის ერთად მიყიდვებს ფთმობა მანეთზე აბაზი.

პირველს ოქტომბერს, მცხეთობას, მცხეთაში ადგილობრით საკრებულო ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა მისი მაღალ ყოვლად უსამღედელოცობა, საქართველოს ექსარხოსი პალლადიგორის ეპისკოპოსი ალექსანდრეს და უმაღლესი სამღედელოების თა-

ნაწიწელობით. წირვაზე გალობდა ბ. აღნიაშვილის ხორა და ექსარხოსის მგალობლები. წირვის გათავების შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება. წირვის გათავების შემდეგ მათი მეუფება უმაღლესი სამღვდლოებით შემოსილი გაემგზავრა ლიტანიით დედათა მონასტრისკენ, სადაც მათ მეუფებას უნდა ეკუთხებია ახლად გახსნილი ქალების სასწავლებელი.

მათმა მეუფებამ გადიხადა პარაკლისი, რომლის გათავების შემდეგ მიუბრუნდა მონასტრის ილუმენს, უბოძა ხატი, დალოცა მის მიერ გამართული ახალი სკოლა და მოწაფენი და მერე შემდეგი სიტყვა ბრძანა: » ამ მშვიდობიანს ალაგს ძველს დროში ხელა წილად ბედნიერება: აქედამ დაიწყო თავისი დიდი მოღვაწეობა წმ. ნინომ და დღესაც ვხედავთ მის მოღვაწეობის კეთილს შედეგს, დღესაც მკვიდრად სწამს საქართველოს ქრისტიანობა და ეს სჯული იყო პირველი დამცველი და მფარველი ქართველთა ერისა ამდენის ხნის განმავლობაში. კეთილს საქმეს დასდგომიხარ, დედაო ილუმენიავ, და იმედი არის რომ თქვენც თქვენის კეთილის აზრის ასასრულებლად იხმართ იმავე იარაღს, რასაც წმიდა ნინო ხმარობდა, ე. ი. კეთილს სიტყვას. მოვეწვევ რა კურთხევას უფლისას თქვენსა და თქვენ მიე დაარსებულ სკოლაზე, გძღვნიტ ამ ხატს: იუოხ იგი მფარველი თქვენი. » შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ დათვალიერა სასწავლებლის ოთახები და ძლიერ მოიწონა. მათმა მეუფებამ აღუთქვა სკოლას 300 მანეთის შეწირვა ყოველ წლით, ხოლო ერთ დროებითად შესწირა ასი მანეთი. ბავშვებს დაურიგა ჯვრები, წიგნები, და ათი მანეთი უბოძა ხილისათვის. პარაკლისის გადახდის და სასწავლებლის დათვალიერების შემდეგ დედა ილუმენიამ სამღვდლოება და სხვა წარჩინებულნი დამსწრენი მიიწვია საუბრეზე. აქაც შეგროვდა 100 მანეთამდრს შეწირულება სკოლის სასარგებლოდ. სასწავლებელი მოთავსებულია სწორედ იმ შენობაში, რომელშიაც წინადაც იყო საქალო სკოლა. დღეს სასწავლებელში არის 22 მოწაფე; ამათში 18 ქართველია, 3 რუსი და ერთი ბერძენი.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზედ.

სიტყვა,

თქმული მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის ზაფლადისძიერ მცხეთის ტაძარში 1-ს ოქტომბერს 1889 წ.

დღეს მართლ-მადიდებელთა ერთა ბრწყინვალედ გადესასწაულობთ, ღვთისა დედაო, მიხედვითა შენითა მტკიცედ დაცულნი, და მხილველნი შენისა ყოვლად-წმიდისა ხატისანი, ღმობიერად ვგადადებთ: დაგვიფარენ ჩვენ საფარველითა შენითა წმიდითა, და: გვიხსნენ ჩვენ ყოვლისა ბოროტისაგან პისა შენისა მიმართ მეოხებითა ცხოვრებად სულთა ჩვენთათვის (ტროპარი დღესასწაულისა).

ამისთანა მაღალი სადმართო სიტუეებით წმ. ეკეკელსია ადიდებს აწინდელს დღესასწაულს. ჩვენ ამ დღესასწაულს ვასრულებთ თვათ იმ ადგილზე, სადაც პირველად ამოხრწეინდა ივერიაში მაცხოვრებითი ნათელი ქრისტეს სარწმუნოებისა. წმიდა მოციქულთ-სწორმა ნინომ აქ აღმართა ქვეყნის მაცხოვრის ჯვარი და მით, აკურთხა საფხი და ეს ქვეყანა. ვადესასწაულობთ დიდებულს სახსოვარს ძველის მცხეთის ტაძარში, რომელიც ერთ დროს მუარული ადგილი იყო საქართველოსი; აქ იყო ტახტი მეფეებისა და კათედრა საქართველოს ქათალიკოსებისა; მაგრამ ეს ტაძარი განსაკუთრებით შესანიშნავია ქრისტიანობის მატანებაში მით, რომ მასში ინახებოდა უპირველესი სიწმიდე მთელი საქრისტიანოსი — გვართი უფლისა. დემეტრმა ინებოს, რომ ჩვენი დღესასწაულობა იქმნეს ღირსი ამ დიდ და სადმართო მოკონებათა!

რა მფარველობაა ეს, ძმანო, რომელსაც ასე ბრწყინვალეობით დღესასწაულობს წმიდა ეკეკელსია? ეს არის სახე იმა სულიერი მფარველობისა, შუამდგომლობისა ღვთის წინაშე, რომელსაც მოგვივლენს ჩვენ დედა ღვთისათვისი გამოუთქმელი მოწაფეებითა ჩვენდამი,



ზეციური დედოფლის ამ მადლიანი და მაცხოვრებელი საფარველისადმი უნდა მივიქცეთ სოლმე ჩვენ ყოველთვის მტკიცე საწმენოებით და სასოებით. ვინაყუთრებით გუფს მოდგინეთ უნდა მიიქცენ ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის ამ საფარველისადმი ქაღნი და კაცნი კურთხეული საქართველოსა, რომელიც ქაღწულმა ისე შეიყვარა, რომ აღიზნა იგი თავის წილად.

ბევრი შეუძლია ჩვენთვის ღირცას და ყოველი წმიდანის შემაჯავრობას ღვთის წინაშე; მით უმეტეს უდიდესი და უმდიერესი შეამდგომელობა ღვთის მშობლისა, იგი უუწმიდასი და უდიდებულესი აზა მარტო წმიდანებსე, აზამედ თვით ქებაბითა და სერაფიმთა ზედა. იგი ცხოველი კიდობანია ყოვლად წმიდა სულისა, სულიერი ტასტა დიდების მეფისა, წყარო დაურტყველისა, წყარო და მომნიჭებული ცხოვრებისა და ყოველთა კეთილთა. ყოველივე ამასთან იგი თვით მოსიუგარულე-ღვთა ჩვენი; მისი ყოვლად წმიდა გული დია ყველასათვის; მას უყვარვართ ყველა ჩვენი; მას სურს ყველასათვის ცხოვრება და ყველა ჩვენგანს მონაჩებს ყოველივე კეთილს, რაც საჭიროა ქაღური და საუგუნო ცხოვრებისათვის. ერთი სიტყვით ღვთის-მშობელი არის განუზომელი ზღვა კეთილთა და სულიერ ნიჭთა. რის მონიჭება არ შეუძლია მას ჩვენთვის თავის უღვეველი საუნჯისაგან? მოლოდ ჩვენი გაფანტელობისა და სიზრმავისა გამო ჩვენ ვერ ვხედავთ ყოველივე მას, რასაც ამზადებს ჩვენთვის ღვთის-მშობელი თავისი სასწაულე-ბრავი სიყვარულის ძალით. რომ ჩვენ გვეჩინდეს წმიდა სულიერი თვლი, როგორც წმიდა ანდრია, ქრისტეს გულისათვის განდგილს, ჩვენ შეიძლება, ესლაც გვეხდა მისი ყოვლად ძლიერი საფარველის მადლიანი მოქმედება ჩვენზე.

დიახ, ზეციური მფარველი ჩვენი მზად არის იშუამდგომელს ჩვენთვის და შეგვეწიოს ჩვენ, თუმცა კი ჩვენ შევსთხოვთ მას შეამდგომლობას მხურვალე და გულმოდგინე საწმენოებით და სასოებით. რა უნდა შევსთხოვოთ ჩვენ ღვთის-მშობელს და ან რა საჭიროებანი გვაქვს ჩვენ? ბევრი, ძალიან ბევრი საჭიროებანი, უბედურებანი და მწუხარებანი აქვს თვითოეულს ჩვენგანს და კიდევ უფრო ბევრი გვაქვს ცოდვები; უძლურ არს ჩვენი სხეული და სული მრავალთა შეცოდებათაგან და ამ ცოდვათაგან გამოსხნისათვის თვითოეულის ჩვენგანს შეშვების ცრემლით შევედროს ღვთის მშობელს.

გარდა კერძო საჭიროებათა და ცოდვათა, ჩვენ გვაქვს საჭიროებანი საზოგადო. უზირველესი და თვით საშიშარი სატყეობი ჩვენი ესლანდელი საზოგადოებისა არის შემცირება საწმენოებისა და ზნეობის დაცვა. ჩვენი წინაზარი ძლიერია იყენეს საწმენოებით და მანში ჰზოდებენ ხსნას, სისარულს ნუგეშს და თავის ცხოვრების ყოველს განსცდელის დროს. ღვთის სიტყვა იყო მათთვის უმთავრესი და უსაყვარელესი სამეცადინო საგანი, სოლო ტამრებში სიარული ღვთის-მისხურების მოსასმენად თვით საღმრთო და აუცილებელი მოვალეობა; დღეს კი მრავალნი სრულებით გულცივად ისმენენ მას რასაც შეიცავს ღვთის სიტყვა, ანუ სრულებით არ ისმენენ ამ ზეციურ სწავლას, არა სწამთ იგი, და ეჭვით უტყქიან თვით ცხად სასწაულთა და საიდუმლოთა. ასეთი უწმენოებისა გამო თვით უსაშინელესი ცოდვები მიაჩნით უბრალოდ; საღმრთო გარდამოცემას და საეკლესიო ტიბიგონს უშიშრად არღვევენ... თუმცა ხალხი ხანდისხან გამოხატავს სოლმე თავის საწმენოებას, მოლოდ გარეგან ჩვეულებებში, როგორც მაგალითად, აქ მსხვერზლის შეწირვაში და სამსხვერზლო ცხოველების დაკვლაში და სხ. მაგრამ ასრეთი ღვთის-მოშიშობა, შეერთებული ასეთ შეტყუასთან და მთვრალეობასთან, სასიამოვნო არ არის ღვთისათვის და მისი ყოვლად წმიდა დედისათვის. შესაწირავნი არ ესიამოვნება ღმერთს; ჰეშმარიტი და სასიამოვნო მსხვერზლო მისთვის არის ცხოველი საწმენოება, შეერთებული კეთილ საქმებთან ეს მსხვერზლი არის სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და მოჩინილი, ამიტომ ესლა, როცა ასე შემცირებულია საწმენოება და დაცვა უნდა ზნეობა, საჭიროა უფრო მხურვალე დიდოცოთ: დედა ღვთისა, მოგვანიჭე ჩვენ საწმენოება, განუტრე ჩვენი სულიერი უძლურებანი, დაგვიფარე ჩვენ ზეციარსი შენი საფარველითა და გვიხსენ ჩვენ!

ამასთანავე შემუსვრილი გულით უნდა შევედროდროთ ზეციურ ჩვენს მფარველს, რათა გვიხსნას მან სხვა და სხვა გადამდებ სასიკვდინე სენთაგან. ჩვენ ხშირად ვხედავთ სოლმე ჩვენს გარეშე საშიშარ ავადმყოფობათა, რომელნიც მუსარს ავლებენ გაუჩეკლად მოხურთა და ასლგაზდათა. აქედამ ჩვენ უმეტესად უნდა მივიწდოთ განგებას და ღირცას. ჩვენ შევობართა და მოყვასთა უდროვო სიკვდილმა უნდა გვიჩვენოს ჩვენ, რომ გულით და ცრემლით შევედროთ: «დედა ღვთისა, გვიხსენ და დაგვიფარე ჩვენ სხეულე-ბათაგან, და სასიკვდინე წელულთაგან».

და იგი, კეთილშეშე და მოწესდებულ ღვთისა და დედა მთელი საქრისტიანოსი, უოკელთის შესთხოვს თავის ძეს, უფლს და მაცხოვრს ჩვენსას, რათა მან შეგვიწყლოს ჩვენ და გვისხნას უოკელი უბედურებათა და მწუხარებათაგან. ვის უნდა მივაწეროთ ჩვენ, რომ ასე მოწესდებით გვეცდებოდა ჩვენ ცოდვილთა ღმერთი, რომელსაც ჩვენ განგარისხებთ ჩვენი ცოდვებით. უოკელივე ეს უნდა მივაწეროთ ჩვენს ღვთისმამებელს, მის მიფარველობის შუამდგომლობას. მხოლოდ ღვთისმშობლის შუამდგომლობასა გამო მართლმსაჯული ღმერთი მრავალ შეცდებათათვის არ გამოდევს ჩვენ სრულს დაღუპვას. რა დაგვეპარებოდა რომ ჩვენ მოკვლადი ღვთისმშობლის უოკლად ძლიერს მიფარველობას და შუამდგომლობას? მაშინ ჩვენ დავიღუპებოდით ჩვენ ცოდვითა, უბედურებათა და მწუხარებათაგან.

გვიყვას რა ასეთი დიდი და გულმოდგინე ზეციური მიფარველი და შუამდგომელი, ბევრთად «მოვიღებთ ცოდვინი და მდაბლნი, ამა მეუდრო და კეთილ ნათესაუდლისადმი, მსწრაფელ შემწის, მზადმსურველ სხნისადმი, ქალწულის საფარველისადმი, ვისწრაფით ვედრებას და მონანებას». მაშინ იგიც, ღვთისმშობელი, არ მოგვკავებს თავის მაცხოვრებთათვის საფარველს როგორც ჩვენ, ისე ჩვენს სამშობლოს და ჩვენს ღვთისგან დაცულს საქართველოს, რომელიც აღარჩნია ღვთისმშობელმა თავის წილად. ჭეშმარიტად შუამდგომელი ქრისტიანთათვის; ევა თვითოეულს ჩვენგანს, რომელიც საცმუნებოთ და სასოებით მოიღუპის შინი შემწეობისადმი, შუამდგომლად, ევა მიფარველად, და მსხნელად უოკელთა გზათ ზედა და ჩვენი ცხოვრებას უოკელ გარემოებათა შინა. ამინ.

ნ ა რ ე ვ ი

ერთი ფრანგულის მოგზაური, რომელსაც თავის მთავრობისაგან მ.ნ.დობალი ჰქონდა შუა აფრიკის მიდამოების დათვალიერება, აი რას მოგვითხრობს იქაურ მკვიდრთა ზნე-ჩვეულების შესახებ:

«აფრიკის ბევრს ადგილებში მე ჩემის თვალთა ვნახე სახლები, სადაც ასუქებენ დასაკლავად რამოდენიმე ას კაცს და ქალს.

ასეთი სახლები მომხრებთან იმ ადგილებში, რომელნიც ეკუთვნის ბელგიას, პორტუგალიას, საფრანგეთს და ინგლისს. ამ სახლებში იმყოფებიან ტყვეები, როგორც კაცები, ისე ქალები, რომელთაც ასუქებენ და მერე სჭამენ.

თითოეულ სოფელში არის ასეთი სახლი, რომელიც შეკავებულია ღობით, ზემოთ უბრალო სასურავი აქვს. სახლში უგანასწენელი რამოდენიმე ტყვე იქნება. მათ ასაზრდოებენ, აწასფერს არ აკეთებინებენ.

ტყვეებმა იციან, რომ მათ დაკვლენ და შესჭამენ, მაგრამ გულგრილად შესტყვიან თავიანთ მომავალს. ზოგიერთ ამ ტყვეთ მე აღუთქვა განთავისუფლება ამ განსაღდელისაგან, მაგრამ მათ უარი მიიხრეს და უგანვე კაიჭდნენ სახლებში, სადაც მათ ასუქებენ დასაკლავად.

ამ სასაკლავოებში ტყვენი სცხოვრებენ უფარდელად და მხიარულად: იგინი სჭამენ, სმენ, გალობენ და სრულებით არ სწუხნან, რომ მათ შემდეგ დაკვლენ და შესჭამენ. როდესაც სოფლის მკვიდრთ დასჭირდებათ სოფლი, ერთი მათგანი, რომელიც უფრო დასჯილად ბუღია, მადის სახლში, სადაც იმყოფებიან ტყვენი. მასთან მიჰყვება რამოდენიმე მესაკრავი დოლებით. არჩევენ ტყვეთ, რომელთაც დასაკლავად ასუქებენ. მათ შინჯვენ ხელით, ზომენ, ანგარიშობენ, თუ რამოდენი სოფლი და ქონი ექნება მსხვერპლს. როცა რომელიმეს ამოარჩევენ, გარს შემოეხვევიან და მიივასთთან. აღმორჩეული სრულიად მშვიდად მიდის და არავითარს შიშს არ იმჩნევს თავის თავზე. ხან-დის ხან ზოგიერთები იწყებენ ტირილს. მაშინ მასს ევება ქალები და ბავშვები დაუწყებენ დარინგას და იგიც თავს ანებებს ტირილს.

ამორჩეულ ტყვეს მიიყვანენ მოედანზე, ქურუმი დასაკლავად აღმოუჩნეულს ტყვეს აჯენს სკამზე. შემდეგ გადმოღუნვენ ლერწამს და მასად მიაკვან მსხვერპლის თავს.

შემდეგ ლერწამს უშვებენ, იგი იმართება და მსხვერპლის თავი იწევს ისე, რომ კისერი მთლად გამოჩენილია. ამ დროს ქალები იწყებენ თამაშს, მესაკრავნი უგანვენ, ხოლო მსხვერპლი სრულიად შეუძოვრებლად ზის.

უეცრად ქურუმი გაუქნევს მსხვერპლს ნამგლის მკაცრს დანას, რომელიც მთლად გაშვებულია კაცის საისლით და ერთი თვალის დახამხამებაში მოსჭრის თავს მსხვერპლს.

თვლები და ენა, რომელიც უფრო გემრიელ ლუგად ითვლება, ეძლევა ქურუმს. სანამ სოფრს არ დაინაწილებენ, მსხვერპლის თავი მიბმულია ლერწამზე და კონწილობს.

სოფრს ინაწილებენ ჩუმიად და უჩხუბრად. მამასხლისის ნება აქვს წაიღოს თავის ტყინი და თითები. თითოეული ქალი და კაცი იღებს თავის ნაწილს. იგინი სხდებიან იქვე მოედანზე და სჭამენ თავიანთ ნაწილს მეუშოვრებლად. თუ ქალს ეჩქარება სახლში წასვლა, ის თავის წილს საისლიან სოფრს წამოატყვამს ჯოხზე, მადის გზაზე და მიიჭამს.

ამ ხალხთა მჭამელების სრული ბატონები არიან ქურუმები. როცა მათ მოუნდებათ კაცის სოფრი, ანუ სხვა რამე საჩუქარი, იგინი შემდეგი სახით იჭტვიან: ქურუმი აცხადებს, რომ ეს და ეს ბავშვი მოკვდა და მისი სული მოიტაცა ვიღაცა ქალმა.

სამწუხაროა, რომ უოკელივე ეს სდება ევროპის განათლებული სახელმწიფოების სამფლობელოებში..

რედაქციის პასუხი მრავალთა პირთადრი.

ჩვენ სშიდად მოგვდის სსკა და-სსკა პირთა-
 გან მრავალი გორჩესზონდენციები, რომელთა და-
 ბეჭდვას მათი ავტორები გულისთ და სულით
 გვთხოვენ. თუცა, დიდაც სსკებ და მადლობის ღირს
 სსკემდ მიგვანია გორჩესზონდენციების შრომა გა-
 ზეთისათვის, მაგრამ ჩვენ მაინც მრავალს ამ გორ-
 ჩესზონდენციებისაგან ვერ ვბეჭდავთ და ვერ ვასრუ-
 ლებთ მათი ავტორების მსურველ თხოვნას. მი-
 ზეწი ამისი აი რა გასლავსთ: ერთი რიგი ამ გორ-
 ჩესზონდენციებისა გვიქებს და გვიდიდებს ზოგიერთ
 პირთა, რომელნიც აუარებელ სიკეთეს ქმირდებიან
 თუ სკოლებს, თუ ეკკლესიებს და თუ საზოგა-
 დოებას. მაგრამ ამ შეპირებული ოქროს მთებიდან
 ერთი ვაპიკის ოდენი ნამდვილი განსოცოცულებუ-
 ლი სსკემე გი არა სსანს. ჩვენ ბევრი გაგვიგონი-
 ესკოთი შეპირება, ბევრი ქება და დიდება მოგვის-
 მენია ამ სიტყვით მდიდარ ქველმოქმედთაგან, მა-
 რამ გასულა დრო, სიტყვები ქაჩს წაუღია და სსკე
 მე ვერცე არავის უნასავს. რა სსკირაა ვერ
 ცარიელი სიტყვისთვის გაცს ქება-დიდებათ თავი
 გაუბრუოთ, ოღონდ სსკემე გააკეთოს და გმევას
 და შესხმით მადლობას საზოგადოება არავის დაგ-
 ლებს.—მეორე რიგი ამ გორჩესზონდენციების
 მომდგარს და პურღვინოს და სადილ-ვასშებს
 უქებენ სსკა-და-სსკა საზოგადო პირებს. ამა და ამ
 წარჩინებულმა პირმა სადილი გააკეთა მრავალი
 სტუმრები მიიწვია, უსკად აღავსო სუფრა უოვე-
 ლი სსანავაგითა—და, წარმოადგინეთ, თითოეულ
 სტუმარს თითო-თითო მთელ-მთელი ტკაველ-ნასკე-
 რანის კალმახი მოართვესო. მე-3 და მე-4 რიგამ გორ-
 ჩესზონდენციებისა გიდე უფრო წკრილმან და უმნიშვნე-
 ლო სსკებს მოსდებია და გვემუდარებიან დავიბეჭდო
 და გავგზავნიკო.—ნუ თუ ეგვლა ამ მოწერი-
 ლი ამბებიდან არა სსანს, რომ ვერ გიდე ვერ შე-
 უგნია ჩვენს სსდს, თუ რა დანიშნულება აქვს

გაზეთს და რა უნდა იბეჭდებოდეს მასში! ჩვენ
 ჩვენის მხრით ვატყობინებთ ეგვლას, ვისაც სურს
 რაიმე სამსახური გაუწიოს მკითხველ საზოგადოე-
 ბას თავის კალმის ნაწარმოებით, რომ ჩვენ ვაძ-
 ლევთ ჩვენს გაზეთში ადგილს მხოლოდ ისეთს
 ნაწერებს, რომელიც თავისი შინაარსით საზრდოს
 აძლევს გაცის ან გონებას და ან გულს და რომელ-
 თაც წინ მიუძღვის რაიმე საზოგადო სატკე-
 ლობის მოტანას... იქნება ზოგიერთ ჩვენ გორჩეს-
 ზონდენციებს ეგონოს, რომ ჩვენ მათ წერილებს
 ვწუნობთ მათი გარკვენი ფორმის სისუსტის გამო,
 ლიტერატურული ენის მხრით; მაგრამ შეტდება,
 ვინც ამას თვქრობს, ჩვენ გვეჭირვება ნამდვილი
 ამბები, სწორი ფაქტები და არა ლიტერატურუ-
 ლად გამოსკვანჭული ტყუილები და ჭორები; უს-
 წორ-მასწარა, სუსტი ენით დაწერილ ნამდვილ
 ფაქტებს ადვილად მოესერება ლიტერატურული
 გარკვენი სამოსელის გამოცვლა და გამშვენიერება,
 მაგრამ ტყუილები და ჭორები რაც უნდა გაამშვე-
 ნიკრო და მოკაზმო ლამაზი სიტყვებით, მაინც
 ტყუილებათ და ჭორებათ დარჩებიან. არა, ბატო-
 ნებო, გარკვენი ფორმის სისუსტეს ნუ ერიდებით,
 ოღონდ გი მართალი, ნამდვილი და სწორი იყოს
 თქვენ მიერ მოწერილი ამბები და ფაქტები!

შ ი ნ ა ა რ ს ი: ბედი საეკკლესიო-სამრევ-
 ლო სკოლებისა წინეთ და დღეს.—სოფლის მღვდლას
 სმა მრევლთადმი საეკკლესიო-სამზრუნველობის და
 მძობათა დაარსების შესახებ.—«მწუქმის» გორჩესზონ-
 დენცია რაჭის მაზრიდან.—საისტორიო მასალა.—
 ნეკროლოგი.—ახალი ამბები და შეიშენები.—სიტყვა,
 თქმული საქართველოს ექსარქოსის, ანქივისკოპოსის
 პალლადისმიერ მცხეთის ტაძარში 1-ს ოქტომბერს.—
 ნარკვი.—რედაქციის პასუხი მრავალთადმი.